პატიმრის ხმა

№ 3 მარტი 1990 წ. გაზეთი გამოდის 1989 წლის 28 ნოემბრიდან ფასი 35

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორთაჭალა „გუბერნსკის'' ციხე

გადავარჩინოთ პოლიტპატიმარი გერლიანი !

(ყოფილი პოლიტპატიმარ რ. ნ. ხაირულოვის წერილი)

მე, რ. ნ. ხაირულოვი, ყაზანის თათარი, 1975 წ. დავამთავრე ვ. ლენინის სახელობის ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის საღამოს ფაკულტეტი, სრულად აღვიქვამ ჩემი სიტყვების მნიშვნელობას და მზადა ვარ სრული პასუხისმგებლობით მოვეკიდო ჩემს ჩვენებებს, ოღონდ, მხოლოდ კეთილსინდისიერი ჟურნალისტების წინაშე.

1978 წლიდან 1988 წლამდე ვიმყოფებოდი ორენბურგის კოლონიებში. ჩემი იქ ყოფნის დროს მოწმე გავხდი ისეთი უკანონობისა, რომელიც ხდებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე, რომ ჩემს თავს ვთვლი ვალდებულად განვუცხადო მათ შესახებ საზოგადოებას, მითუმეტეს, როცა მრავალრიცხოვანი თავდასხმების შემდეგ ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია.

ციხის ადმინისტრაცია განსაკუთრებული სისასტიკით სდევნის კავკასიელი ხალხის შვილებს. მე მინდა მოგითხროთ ერთ-ერთ მათგანზე.- გერლიანზე, რომელსაც მეტსახელად "კლდეს" ეძახდნენ. ის და სხვა მისი თანამემამულეები მსგავსად უარს აცხადებდა მგლური კანონებით ცხოვრებაზე, რომელიც გაბატონებულია ციხეებში: ნებას არ აძლევდა ერზუბათ, იცავდა სუსტებსა და მოხუცებს, სამედიცინო დახმარებას უწევდა ავადმყოფებს. თვითონ მეც რამდენჯერმე გადამარჩინა გარდაუვალ სიკვდილს. თავისი პატიმრობის დროს გერლიანი სისხლის სამართლის დამნაშავიდან პოლიტპატიმრად გადაიქცა, რისთვისაც ციხის ადმინისტრაციის მხრივ სასტიკ დევნას განიცდის. იგი წლობით ჰყავთ გამომწყვდეული შიზოში, თავიანთი ლაქიების მეშვეობით ადგენენ მასზე ყალბ დაბეზღებებს, უმატებენ პატიმრობის ვადას, დანით დაუზიანეს თვალი. მე მოვუწოდებ საზოგადოებრიობას იბრძოლონ მის გასათავისუფლებლად, სანამ ის ჯერ კიდევ ცოცხალია. რადგან, ყველა ჩვენთაგანის სიცოცხლე საფრთხეშია, მასობრივი თვითნებობა ფიზიკურად ძლიერი პატიმრობის წასისინება ავადმყოფებსა და სუსტებზე, ცრუ დაბეზღებები, გამუდმებული მკვლელობის მუქარა, დალპობა, წაქეზება, დაუმორჩილებლობის წლობით შიზო-ში დაკავება, ყველაფერი ეს დაუსჯელი რჩება. ამას გარდა - სრული ანტისანიტარია, მუდმივი სიცივე საგანგებოდ ჩამტვრეული ფანჯრების გამო, აუტანელი მტვერი ზაფხულობით, სასმელი წყლის უქონლობა, ყველაფერმა ამან ციხე ტუბერკულოზისა და ციმბირული წყლულის კერად გადააქცია. ეს მაშინ, როცა საბჭოთა გაზეთები წერენ, თითქოს ტუბერკულოზი ცსს არსენალში შედის როგორც ბაქტერიოლოგიური იარაღი ქოლერის, ტიფის, ციმბირული წყლულის დონეზე, ამ დროს კი ჩვენი კოლონიის ჯალათ-პოლკოვნიკებმა შექმნეს ჩერნობილზე უფრო საშიში ბაქტერიოლოგიური რეაქტორები.

მასალები მასობრივ უკანონობაზე, პატიმრების არაადამიანურ პირობებზე მე არაერთხელ გადავეცი ყველა ცენტრალურ გაზეთს, ჟურნალ "ოგონიოკს" და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, მაგრამ მათგან პასუხი არ მიგვიღია. სხვათაშორის ეგრეთ წოდებული საბჭოთა ოფიცრები, ფიქრობდნენ, რომ ჩვენ აქედან ცოცხლები ვერ გამოვიდოდით, გულახდილად გამოგვიტყდებოდნენ ხოლმე:" რომ მათ სსრკ ცკ-ში ჰყავთ თავიანთი ბანჯგვლიანი ხელი ". ჩემს სიცოცხლეზე მრავალჯერი თავდასხმის შემდეგ იძულებული გავხდი საკუთარ ტანზე ტატუიროვკა გამეკეთებინა სადისტი ოფიცრებისა და გამყიდველი პროკურორების გვარები: მოსკოვში სსრკ სუკ-ს შეტყობინება, ოფიცრის ფორმას შეფარებული ბერიას მიმდევრები საქმის დიდი ცოდნით ხოცავენ პატიმრებს შიმშილითა და ტუბერკულოზით.

პოლკოვნიკები: სტრელნიკოვ ი. გ. ამჟამად მუშაობს მოსკოვში, გოდუნოვი, დმიტრიევი ვ. ს. აიპბულოვ იური აბდულას ძე (შსს სამედიცინო სამსახურის უფროსის მოადგილე), მელნიკოვი ვ. პ. ფეოდოროვი. ;

კაპიტნები: ზაიცი ვ. ა. , აკსიუტინ. ს (საკუთარი ხელით სიკვდილამდე მიჰყავს პატიმრები)

მოვუწოდებ ყველა ხალხებს, მთელი ქვეყნის საზოგადოებრიობას გადაარჩინოთ სამართალდამცავი გერლიანი/კლდე, სანამ ის ჯერ კიდევ ცოცხალია, რომელიც მრავალი წელია იბრძვის ადამიანის უფლებებისათვის ორენბურგის კოლონიებში.

-გააგზავნეთ ამ კოლონიებში პატიოსანი და გამბედავი ხალხი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და მოუსყიდავი ექიმები საერთაშორისო წითელი ჯვრიდან

- ორენბურგიდან 120 კილომეტრზე I კოლონიის საკონცენტრაციო ბანაკ აკ-ბულაკში იმყოფება გასამართლებულთა სასაფლაო. . . . მიაქციეთ ყურადღება, სანამ კვალი არ წაუშლიათ.

- გადაეცით ჩემი ქაღალდები და ფაქტები აკადემიკოს სახაროვს, გელმანს, გდლიანს, ელცინს, სოლჟენიცინს.

23 ოქტომბერი 1989 წ.

მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრიობას

ჩვენი უკანასკნელი მონაცემებით გერლიანი იმყოფება ხაბაროვსკში. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, კეთილი ნების ყველა ადამიანს, გადავარჩინოთ უშიშარი სამართალდამცველი "პერესტროიკის" პატიმარი გერლიანი და გამოვგლიჯოთ ის ჯალათების ხელებიდან.

საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის
სახელით ზვიად გამსახურდია

12 ნოემბერი 1989 წ.

თბილისი

გაზეთ "პატიმრის ხმის" რედაქციას

გაცნობებთ, რომ წავიკითხე თქვენს მიერ გამოცემული გაზეთის ერთი ნომერი და სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ის შენიშვნები თუ საჩივრები, რომლებიც იქ ეწერა. ძალიან გული მწყდება, რომ ჩვენ პატიმრებს არ გვაქვს საშუალება გვქონდეს კონტაქტი თქვენს რედაქციასთან. იქედან გამომდინარე, რაც თქვენი გაზეთიდან ამოვიკითხე ვეთანხმები იმ აზრს, რომ ისეთი სასჯელები, როგორიცაა კერძოდ საქართველოში, დამამცირებელია ყველა ქართველისათვის, მე მგონი შრომა-გამასწორებელ კოლონიას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს შრომა-გამაფუჭებელი კოლონია, რადგანაც იქ არ არსებობს არცერთი ისეთი პირობა, რომელიც პატიმარს დააფიქრებდა მომავალში დამდგარიყო ისეთ გზაზე, რომელიც სასარგებლო იქნებოდა საზოგადოებისათვის. ჩემი აზრით ადამიანი იქ მოხვედრისთანავე თუ საზოგადოების მტერი არ გახდა, ყოველ შემთხვევაში გულგრილი მაინც ხდება საზოგადოების მიმართ. მე რა თქმა უნდა პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ჩემი თავი და არც ვმალავ, ვინაიდან ჩემი პირველი მტერი ჩემს თვალში საზოგადოება გახდა. მერვე კლასში ვიყავი, როდესაც ქურდობა დამაბრალეს, ისიც მეზობლის გაფუჭებული საათის ქურდობისათვის. ეს ამბავი თითქმის მთელმა რაიონმა გაიგო, გამოწერეს გაზეთში, იმსჯელეს ყველა სკოლებში, საწარმოებში და თოთხმეტი წლის ბავშვი გადავიქეცი იმად, რომ თითით საჩვენებელი ვიყავი ყველასათვის, როგორც სამოთხეში მოხვედრილი ცოდვილი. ამან რა თქმა უნდა თავისი გავლენა მოახდინა ჩემზეც. სკოლის დამთავრების შემდეგ მე უკვე შეგნებულად ვქურდობდი. 1984 წლის 4 მარტს დამიჭირეს და მომისაჯეს ექვსი წელი საერთო რეჟიმის შრომა-გამასწორებელ კოლონიაში მოხდით, საიდანაც მე ვადაზე ადრე 1988 წლის 26 აპრილს გავთავისუფლდი. მოვიყვანე ცოლი და ჩვენ ვარჩიეთ ცალკე ცხოვრება, მაგრამ ცხოვრებას აქვს თავისი კანონები, რომლებიც არსებობისათვის აუცილებელია. მე კი სამუშაოზე არ მღებულობდნენ ორი სპეციალობის მქონეს, ვიყავი შიგაწვის ძრავის შემკეთებელი და ფოტოგრაფი. თქვენც კარგად იცით, რომ ნასამართლევი კაცი გულზე არავის უხატია. ბოლოს როგორც იქნა მიმიღეს საყოფაცხოვრებოში ჩემი პროფესიით, იმ შემთხვევაში თუ გეგმას ასი პროცენტით შევასრულებდი. ჩემი ხელფასი ყოველთვის შეადგენდა 39 მანეთს, მასალა კი ჩემი ფულით უნდა მეყიდა. მოკლედ მე ამაზე თავს აღარ შეგაწყენთ, ვინაიდან თქვენთვის უკვე გასაგები იქნება ჩემი ეკონომიკური მდგომარეობა. ამას ისიც უნდა დავამატო, რომ ორმოცდაათ მანეთს ყოველ თვეში ბინის ქირას ვიხდიდი. სხვა ხარჯებს აღარ ჩამოვთვლი. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ისევ დავიწყე ქურდობა. ვქურდობდი არსებობისათვის, მე სხვა გამოსავალი არ მქონდა. ეხლა ისევ დამიჭირეს, მე არ ვამბობ, რომ უსამართლოდ ვარ დაჭერილი. ეს რომ მეთქვა, თქვენში მოსალოდნელი თანაგრძნობის მაგივრად ზიზღს გამოვიწვევდი, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ის სასჯელი, რომელსაც მე გამომიტანეს, უფრო მეტი დანაშაულია, ვიდრე ჩემი ქურდობები. უნდა დავამატო, რომ ჩვენი სასჯელები სრულიად არ შეეფერება ჩვენს დანაშაულებს. მე ჩემი თავი მაგალითისათვის მოვიყვანე თორემ რამდენია ჩემისთანა, შეიძლება ითქვას საქართველოში მყოფი პატიმრების 90 პროცენტი. თქვენც კარგად იცით, ხდება პატიმრების რუსეთში გაგზავნა, არ არის მცირედი კონტაქტები ოჯახებთან. მოკლევადიანი შეხვედრა ოთხ თვეში ერთხელ, გრძელვადიანი ექვს თვეში ერთხელ და ეხლა როდესაც მწვავედ დგას ქართველთა გამრავლების საკითხი, ინგრევა ქართული ოჯახები, რჩებიან ბავშვები უმამოდ, ზოგი უდედოდაც, რადგან ჩვენ პატიმარი დედებიც ბლომად გვყავს, ხოლო სასჯელს იხდიან და გამოდიან სულიერად და ფიზიკურად გატეხილი ადამიანები.

რას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში პატიმარი ? მას არ გააჩნია არავითარი უფლებები, ის სრულიად მოწყვეტილია ღვთისაგან ბოძებულ თავისუფლებას. შვილის ნახვის უფლებაც კი არა აქვს თავისუფლად. მისთვის პურიც კი ცალკე ცხვება. თუ შეიძლება მას პური ენოროს. მაგალითისათვის მოვიყვან წულუკიძეს, ჩვენთან პურის ჭამა საერთოდ არ შეიძლებოდა, როდესაც პურს გულს გამოვაცლიდით და ხელს მოვუჭერდით, თითებშუა წვეთ-წვეთად მოდიოდა წყალი, მაგრამ ზოგჯერ ისიც კი გვენატრებოდა. აგრეთვე მოჰქონდათ სპეციალურად გამოფიტული პროდუქტები პატიმრის ბალანსის გასაკეთებლად, დამპალი ასანთის ღერებივით კარტოფილი, ქაღალდის ფურცლებივით ხაჭო და სხვა, საიდანაც კეთდებოდა ისეთი საჭმელი, რომელსაც დარწმუნებული ვარ ჩვენი უფროსები თავის ეზოს ძაღლსაც კი არ აკადრებდნენ საჭმელად. არაფერი განსხვავება არ იყო ჩემს მიერ წიგნში ამოკითხული გერმანული კონცლაგერის "აპელპლაციისა" და ჩვენი პლაცისა, ოღონდ ჩვენთან პლაცზე კი არ ხვრიტავდნენ, არამედ რტყმით გამოჰყავდათ მწკრივიდან უჭმელობით დაუძლურებული პატიმარი, რომელიც ჩაის საკრეფად ვერ გადიოდა. კარცერებში კი ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ, მე არ მაქვს ზუსტი ცნობები, თუ რამდენი უჯდება სახელმწიფოს პატიმრის შენახვა დღიურად, მაგრამ ვიცი, რომ ეს დაახლოებით სამოცდაათ კაპიკამდე მიდის, შეიძლება არც ამდენი არ არის, აქედან უკვე ნათლად ჩანს, რომ პატიმრის საყოფაცხოვრებო თუ საარსებო პირობები სახელმწიფოს დიდად არ აინტერესებს. მაინტერესებს სტატისტიკური მონაცემები საზღვარგარეთის საპატიმროებში თუ იკლავს ვინმე თავს, ჩვენთან კი ასეთი შემთხვევები ბევრია და მეც პირადად ბევრჯერ შევსწრებივარ მას, ხდება შემთხვევები, როდესაც პატიმრები სამართლიანად გაურბიან სასჯელის მოხდას, რადგან მათ ნამდვილად აქვთ შეგნებული საბჭოური სასჯელის სისასტიკე, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პატიმრები იყვნენ მოკლულნი იმ დროს, როდესაც ისინი უკვე აღარ აპირებდნენ გაქცევას, მაგალითისათვის მოვიყვან ერთ ფაქტს: ჩვენი ზონის ჩაის ბრიგადიდან ერთი მეგრელი პატიმარი გაიქცა, მე ზუსტად არ მახსოვს მისი სახელი და გვარი, მაგრამ მახსოვს და შემიძლია დავასახელო ის ხალხი, რომელიც იმ დროს იქ იყვნენ და მასთან ერთად ცხოვრობდნენ. პატიმარმა დაახლოებით ოცდაათი მეტრი გაირბინა და უცებ მოეგო გონს, ხელები ასწია და გაჩერდა, ყარაულში მყოფმა სალდათმა კი ავტომატის ჯერი მიუშვა რა თქმა უნდა პატიმარი "ცხრამეტი წლის ახალგაზრდა" ადგილზე გარდაიცვალა. მას ნახევარი თავი და სახე აღარ ჰქონდა. ყარაულში მყოფ სალდათს "მკვლელს" კი ამის გულისათვის ორკვირიანი შვებულება მისცეს და მადლობაც გამოუცხადეს. "მადლობა" ალბათ ამ სიტყვას ნაწილის წინ გამოუცხადებდნენ და ტაშსაც კი დაუკრავდნენ ჩვენი ყველაზე მეტად დამნაშავე მთავრობის ენაგადმოგდებული მკვლელები და მონები.

ასეთი შემთხვევა ხდება არაერთი და ორი. ჩემის აზრით, ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ ყველას სხვადასხვა ხასიათი აქვს და ემოციური გრძნობებიც მეტ-ნაკლებად აქვთ განვითარებული, თითქოს ერთნაირად ეჩვევიან დროის კანონებს და მათი სინანულის გრძნობა დანაშაულის მიმართ თანდათან ქრება გარემოსთან შეგუებულობით და მიუხედავად გაჭირვებისა, იმ სამყაროს განუყოფელი ნაწილი ხდება, სადაც მეტ ნაწილს ოჯახს მოწყვეტილი ატარებს. ამაში მე მგონი თქვენც დამეთანხმებით, რომ ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც ციხეში მოხვედრილი უდანაშაულო ადამიანი გარეთ ჩამოყალიბებული, მომზადებული დამნაშავე გამოსულა. მე როდესაც პირველად დამიჭირეს 18 წლის ვიყავი და ყველაფერს ძალიან ვჯავრობდი. ორი წლის მერე თითქმის აღარ განვიცდიდი არაფერს მიუხედავად იმისა, რომ გაჭირვებით ვცხოვრობდი, მე შევეჩვიე, გარე სამყაროს მოწყვეტილი ვიჯექი და ვფიქრობდი ხოლმე, ვიხსენებდი ბავშვობას და იმ ბედნიერ წლებს, როდესაც გარეთ ვიყავი, მაგრამ ეს ჩემში აღარ იწვევდა სულიერ განცდებს და მე თვითონ მიკვირდა, ნუთუ ასეთი გულცივი ვარ მეთქი ჩემი წარსულის მიმართ. განთავისუფლების შემდგომი ამბავი კი თქვენ ზემოთ მონათხრობიდან იცით, მე იძულებული ვიყავი ისევ მექურდა, ჩემი ბიჭის დაბადებამ კი თითქოს შეცვალა ჩემი ცხოვრება, მე უკვე ვფიქრობდი როგორმე სხვანაირად მეცხოვრა, მაგრამ მაინც დამიჭირეს წინათ ნაკეთები ქურდობებისათვის, მე კიდევ ვამბობ, რომ ჩემი დაჭერა სრულიად სამართლიანია, მაგრამ სასჯელი? თვენახევრის ბავშვი და არასრულწლოვანი მეუღლე, რომელი უფრო დასჯილი იქნებიან, მე თუ ისინი. იქნებ ამაზე მიპასუხოთ.

ახლა კი ისევ მინდა პატიმრების საერთო თემას დავუბრუნდე, მე მინდა ცოტა რამ ვთქვა ქალებზეც. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქართველ დედებს და დებს. მათ მიმართ უნდა იყოს დაწესებული მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელები, რა თქმა უნდა ეს მამაკაცებზეც კარგი იქნებოდა, მაგრამ პირველ რიგში ქალებზე ვილაპარაკებ, როდესაც ვახსენებ ადმინისტრაციულ სასჯელებს, მხედველობაში მაქვს საყვედურები, სამუშაოდან დაქვეითება, სამუშაოები, სადაც მიიღებენ ხელფასს მნიშვნელოვანი დაქვითვით, იქნება ჯარიმები, პირობითი სასჯელები, რომელიც გაითვალისწინებს განმეორებითი დანაშაულის შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციულ სასჯელებს და არ ექნება არავითარი საერთო დღევანდელ სასჯელთან. რაც შეეხება ჩვენ მამაკაცებს, მოგვეცით საშუალება მეტი კონტაქტი გვქონდეს ოჯახებთან. შეგვიცვალეთ ეგრეთწოდებული შრომა-გამაფუჭებელი კოლონიები, ჩასახლებად სადაც საშუალება გვექნება, ვიცხოვროთ ოჯახებთან ერთად, ვისაც სურვილი გვექნება, შემცირდეს ჩვენი სასჯელები და მეტი ყურადღება მიექცეს ახლად გათავისუფლებული პატიმრების ყოფაცხოვრების საკითხებს. უფრო სწორი ითქვას და გაკეთდეს, რომ საჭიროა მთელი ამ ადმინისტრაციული აპარატის შეცვლა.

მე რომ საშუალება მქონდეს ჩემს თავს მე თვითონ გამოვუტანდი სასჯელს, ჩემი სტატია იწყება ორიდან და ადის ათამდე. მე სიამოვნებით მოვიხდიდი ჩემს სასჯელს ერთ ან ორკაციან კამერაში, სადაც საშუალება მექნება მქონდეს წიგნები, სახელმძღვანელოები. მექნება სამუშაო როგორც ეს საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში ხდება, რათა გამოვიმუშაო რაიმე და დრო ტყუილად არ დავკარგო. თვეში ერთხელ მაჩვენონ ჩემი ცოლშვილი და ორი წლის განმავლობაში ვიყო სრულიად მარტო, ან ერთ პატიმართან ერთად, რათა მეტი დრო მქონდეს ჩემს თავთან ჩაფიქრების. ეს ყველაზე სწორი სასჯელი იქნებოდა ჩემს მიმართ. მე გთხოვთ თუ შეგიძლიათ დამეხმაროთ, აქ დაგროვილ ბოღმას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თვითონ დანატრებულია თავისუფლების სითბოს, ვინც უჩუმრად იკლავს გულში დარდს და ნაღველს და ვერც ვერავინ წარმოადგენს რამდენად უსაშველო შეიძლება იყოს ეს დარდი და ნაღველი, ვერაფერი აანაზღაურებს აქ დაკარგული წლების სიტკბოს გულში სამუდამოდ დარჩება მტკივანი და ცარიელი ადგილი მის დღეში შეუვსები და დაუამებელი. ამ წუთში უძლური ვარ ვძლიო ჩემს თავში სიძულვილისა და გაბოროტების გრძნობას ასე ერთბაშად, რომ მოხლვადა არც მიტევების გრძნობა არსებობს, არც შენდობის. ადამიანი ერთხელ ცხოვრობს ამქვეყანაზე, თევზებიც კი უფრო ბედნიერები არიან ჩვენზე. მათ არ იციან, რომ აკვარიუმის ტყვეები არიან, ისინი თავისუფლების ილუზიით იკვებებიან. ცხოვრება წამიერია, წარსული თითქოს არც ყოფილა, იგი სიზმარივითაა, აღარ განმეორდება. ჩვენ კი რა ვიცით ჩვენი ხვალინდელი დღის შესახებ. სხვისი გამხნევება ადვილია, ეტყვი უნდა გამაგრდე უსაშველო არაფერი გჭირს, გამოხვალ გექნება ტკბილი ოჯახი, გეყოლება ბევრი შვილები, და დაგავიწყდება დღევანდელი სატკივარი, როგორ და რანაირად. შეძლებს კი ხუთი წლის მერე ჩვენი საპატიმროდან გამოსული ადამიანი თავის გამოფიტულ და ფიზიკურად მომსპარი სხეულით ამ სურვილების ასრულებას ? ვისთვის იქნება ჩვენი არსებობა საჭირო, ალბათ ოჯახისათვის, მაგრამ მერე რა, მშობლიური გრძნობები ცხოველებსაც კი გააჩნიათ, წყდება უკანასკნელი ძაფები რწმენის და ნდობის. გული კი იკუმშება იმ სინანულით, რასაც წლეთა სვლა ტოვებს ჩემს სულში. აღარ მგონია როდისმე დამადგეს საშველი ყველაფრის თავიდან დაწყებისა, ჩემი ერთადერთი ხსნა და სასჯელი ის არის, რაც ზემოთ გთხოვეთ. გთხოვთ გამიწიოთ შუამდგომლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემატყობინეთ წერილობით. ახლა კი ვამთავრებ წერას, იქნებ როგორმე მოვახერხო თქვენთვის გადმოცემა.

პატივისცემით ლაშა ლაშარის ძე ხოჯანაშვილი

ქუთაისის ციხე
კამერა N 53

3. III. 90
სტატია 150, მესამე ნაწილი
ორიდან ათამდე საპატიმრო

მე ვერ დავეთანხმები ლაშა ხოჯანაშვილს იმაში, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პატიმარი 70 კაპიკი უჯდებოდეს. გარდა თავისუფლების აღკვეთისა პატიმარს, როგორც მონას ისე ამუშავებდნენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამასთან, მე მიმაჩნია, რომ საბჭოთა სახელმწიფო მუდამ ვალში იქნება პატიმრების წინაშე, რამეთუ მისგან მიყენებული ზარალი პატიმრებისადმი, კერძოდ პატიმართა ყოველგვარი უფლებების შელახვა, მათი ჯანმრთელობის მოშლა, მორალური და სულიერი ტრამვის მიყენება, მუდამ აუნაზღაურებელი დარჩება საბჭოთა კომუნისტური იმპერიის მიერ

მევლუდი ბასილაური

ყველასათვის ცნობილია საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის დანაშაული საკუთარი ერისა და ხალხის წინაშე. ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით კი 9 აპრილის შემდეგ შეიმჩნევა ამ ორგანოების ეროვნულ პოზიციებზე გადასვლა, რაც თავისთავად სასიხარულოა ყველა ქართველი პატრიოტისათვის. 9 აპრილის ღამეს ქართულმა მილიციამ თავის თავზე იწვნია საბჭოთა კომუნისტური იმპერიის ულმობელობა, სისასტიკე, არაადამიანური კანონები თუ წესები, რამაც ნათლად დაანახა მათ თავიანთი და საქართველოს მძიმე მდგომარეობა, საკუთარი დანაშაული თავის თავის, ღმერთისა და საკუთარი ერის წინაშე.

ბევრი ადამიანი, რომელიც შედიოდა შინაგან საქმეთა ორგანოებში და სურდათ პატიოსნად, კეთილსინდისიერად ემსახურათ საკუთარი ხალხისათვის, ისინი ბოლოს და ბოლოს მაინც ექცეოდნენ ეშმაკის გავლენის ქვეშ, ვინაიდან საბჭოთა კომუნისტური წყობილების სისტემა ისეთ პრინციპზე იყო აწყობილი, რომ ეშმაკის ძალა თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა ხოლმე.

ადვოკატები, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად მარიონეტულად ასრულებდნენ თავის მოვალეობას, ხშირად ძიებას უფრო ეხმარებოდნენ ვიდრე თავის კლიენტს, რითაც ისინი ხშირად ეგრეთ წოდებულ "ნასედკის" როლშიც გამოდიოდნენ.

მე გულით ვუსურვებ ქართულ მილიციას ნამდვილ ეროვნულ პოზიციებზე დგომას, საბჭოთა მილიციის ფორმის გამოცვლას, რაც უარყოფით ემოციებს იწვევს ყველა პატიმარში, თუ ნაპატიმრალში და ხალხის უმეტეს ნაწილში, ვუსურვებ ისეთ სამუშაო პირობებსა და ჯამაგირს, რომელსაც ეშმაკი ვერ გადასძალავს.

მევლუდი ბასილაური

---

4 მარტს თიანეთში აიღეს რაიკომის შენობის წინ მდგარი ლენინის ძეგლი. ვულოცავთ თიანეთის კომპარტიის რაიონულ კომიტეტს ამ ისტორიულ ამბავს და ვუსურვებთ მალე მარქსისტულ-ლენინური იდეებისაგან და კომპარტიის მანდატებისაგან განთავისუფლებას.

"პატიმრის ხმის" რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია წერილი ქალთა კოლონიიდან
ბატონ პრეზიდენტს

ამ წერილს გწერთ ქალთა კოლონიიდან. არსებულ ჯოჯოხეთთა შორის ყველაზე საშინელი ჯოჯოხეთიდან .

ბატონო გივი ! აქ ქუპრის მაგიერ დუღს ცრემლი და ვაება. განუკითხავადაა ერთმანეთში არეული სამართალი თუ უსამართლობა, ცოდვა თუ უცოდველობა.

ათასხუთასი თეთრი ღამე გადავიტანე ამ ჯოჯოხეთში. ღამე ეს ყველაზე საშინელი დროა აქ. დრო, როდესაც რჩები საკუთარ თავთან მარტო და იწყება ნამდვილი სასამართლო. სასამართლო საკუთარ თავთან. ამ დროს დეტალურად იხსენებ წარსული პერიოდის წლებს, თვეებს, დღეებს, წუთებს და ეძებ შეცდომას, რომლის საზღაურსაც დღეს აქ იხდი.

ბატონო გივი! ვეძებ მიზეზს და გამართლებას, როგორც მხსნელს ისე ველოდები. ასეა აქ ყველა სამუშაო ნერვებდაჭიმული, დაღლილი მივდივართ. მერე-მერე უმიზნო საღამოა. მაშინ როდესაც საღამოს საათებს ოჯახის მოვლასა და პატრონობას ვანდომებდით, შვილების ფერებასა და ალერსში ვატარებდით, აქ ვეძებთ მიზეზს, სულ უმნიშვნელო მიზეზს, რათა განიმუხტოს დაჭიმული ნერვები და ამოხეთქოს ყელს ბურთივით მომდგარმა ბოღმამ. იწყება ენით აუწერელი ჯოჯოხეთი.

ბატონო გივი! აქ ყველა ქალს 20-30 წლით ადრე ეწყება სიბერე და პირველად ეს თმის ფერზე ეტყობა, სახეზე, რომელსაც უსაშველო დარდის დაღი აჰყვია.

უშველეთ ბატონო გივი ქალებს, უშველეთ მათ უპატრონოდ მიტოვებულ შვილებს და რაც მთავარია დანგრევას გადაარჩინეთ ქართული ოჯახები. ეს თქვენ, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

ბატონო გივი ! ამ ჯოჯოხეთში თავშეყრილია დამნაშავენიც, უდანაშაულონიც, მაგრამ დამერწმუნეთ აქაურობისათვის ყველა ცოდვაა, ცოდვაა რადგანაც, მე კიდევ ვიმეორებ, საკუთარ სასამართლოზე საშინელი სასამართლო ჯერ არ არსებობს. საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენაზე უარესი სასჯელი ღმერთს ჯერ არ დაუდგენია. სიკვდილი ჯობია ბატონო გივი, ერთხელ სიკვდილი ჯობია ყოველდღე ნელ-ნელა სიკვდილს. ეს საშინელი ტანჯვაა და ამ ტანჯვას გავუძლებთ, მაგრამ რის ფასად ? რანი დავრჩებით სასჯელის მოხდის შემდეგ ? გამოვადგებით კი ყოველივე ამის შემდეგ ოჯახს, შვილებს, საზოგადოებას ?

ბატონო პრეზიდენტო ! რა არის დედისათვის იმაზე მეტი საშინელება, როდესაც პირმშო შენს გარეშე ბედნიერდება (თუ მას ბედნიერება შეიძლება ეწოდოს უდედოდ), როდესაც შენს პირველ შთამომავალს ამ კედლებში ეცნობი და ხანდახან ხელის შეხების, მოფერების საშუალებაც არ არის. რა არის იმაზე მტანჯველი და რანაირი სასჯელია იმაზე უარესი, როდესაც შენი შვილი, უშენოდ დავაჟკაცებული მიდის სამხედრო სავალდებულო ვალის მოსახდელად და გაცილების დროს მას დედის თბილი ხელების კვალი არ მიჰყვება თან. ყოველივე ეს მე გადავიტანე ბატონო გივი. თუ ამას გადატანა ჰქვია.

რა არის იმაზე მეტი საშინელება, როდესაც შენს უსაყვარლეს სამშობლოში ასეთი სასიკეთო ძვრებია და არის საზიზღარი 9 აპრილი, 15 ივნისი, არის მარნეული, ბოლნისი, ცხინვალი და არაფრის გაკეთება, დახმარება, თანადგომა არ შეგიძლია. ეს უმაღლესი სასჯელია ბატონო გივი.

რისთვის ვიხდით ქალთა უმრავლესობა სასჯელს? გაფლანგვა, ქრთამი, წამქეზებლობა. ვინ ვართ პატიმრები ? ბუღალტრები, პირადი მდივნები და ა. შ. სად არიან ძირითადი, ნამდვილი დამნაშავენი ? რა თქმა უნდა უსამართლო პერიოდის გმირები გარეთ, საკუთარ ოჯახებში, ჩვენ კი... ეს იყო უსამართლო, უმიზნო ცხოვრების პერიოდში. დღეს ხომ სულ სხვა ცხოვრებაა დაწყებული, სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ და თუ ეს ასეა, მაშინ ამ სახელმწიფოს შენება ჩვენგან, პატიმრებისაგან უნდა დაწყებულიყო, უნდა გამოთლიყო ჩვენი ცოდვაბრალი და იმ უსამართლო პერიოდის ტვირთი უნდა მოგვხსნოდა ბატონო გივი! უნდა მოგვხსნოდა, რადგანაც უსაშველოდ მძიმე ეს ტვირთი, თან გადაგვიტანს.

ბატონო გივი! რამოდენიმე კაცს ღმერთისთვის შეუჩივლია ძალიან გვიჭირს ჩვენი ცხოვრების ტვირთის ზიდვა და გვიშველეო. ღმერთმა მოხსნა ყველას ტვირთი, აურია ერთმანეთში და მთხოვნელებს უთხრა, რომელიც ყველაზე მსუბუქი მოგეჩვენოთ, ის აიღეთო. ყველამ მსუბუქი ტვირთი აიკიდა და ნახეს, რომ თავ-თავისი ტვირთი აუღია ისევ ყველას. საკუთარი ტვირთი მსუბუქია ბატონო გივი ! ჩვენ კი ჩვენს სუსტ მხრებზე ათეულობით სხვისი ტვირთიც გვაწევს და ძალიან მძიმეა იგი. გვიშველეთ, ბატონო გივი, გვიშველეთ სხვისი ტვირთის მოხსნასა და განთავისუფლებაში.

ღრმა პატივისცემით პატიმარი, სამი ვაჟის დედა გვენეტაძე ნანული ილიას ასული. გასამართლებული 96^{I} მუხლით 1985 წელს, სასჯელი 10 წლით (დროებით იზოლირება) სასჯელის მოხდით საერთო რეჟიმის კოლონიაში.

საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის
თავმჯდომარეს ნ. ნათაძეს

უკანონო პატიმრობაში მყოფ
ტარიელ დავითის ძე ფოცხვერიას
(ქ. ქუთაისის № 2 საგამოძიებლო
იზოლატორი. შიმშილის საკანი)

საჩივარი

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო და მეც შიმშილობის 27-ე დღეს, გადავწყვიტე მოგმართოთ თქვენ, რადგან დიდის ხალხში ხმა და ბევრიც იწერება, რომ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და თითქოს ქართველი ადამიანი უსამართლოდ არ დაიჩაგრებაო.

სამწუხაროდ, ეს არ ითქმის ქუთაისის მილიციაზე, მისი შეფით თევზაძესთან. რადგან, ჩემი დაკავების წუთიდან ავტოქარხნის რაიგანყოფილებაში მიყვანით დამთავრებული, დაიწყო ჩემზე დაინტერესება, რომ როგორმე გავეშვით ციხეში. გამომდინარე იქიდან, რომ ადრე 3-ჯერ ნასამართლევი ვარ.

მართალია პროკურორი ბობოხიძე იკავებდა თავს სანქციის გაცემაზე, მაგრამ მაინც გააცემინეს, რადგან ჩემი ახსნა-განმარტებით ვიყავი "ათასწვრილმან" მაღაზიაში, ხოლო მილიციის თანამშრომელმა გაბიძაშვილმა, პირდაპირ განმიცხადა იქ აღწერა იყოო, აი ცნობაცო. აგერ ხელთათმანებიც შენიაო, თან დაგინახე კიდეცო და ასეთი მოტივებით, ეჭვმიტანილობის სანქციით ქურდობისათვის გამომისტუმრეს ციხეში.

რადგან, შევხედე ქუთაისის მხრიდან, ასეთ დაინტერესებას ჩემდამი(რომელიც დანახვიდანვე წავიდა) მე დღემდე არ მიმიღია სწორი ჩვენება (თუ, ასეთსავე საჩივრებს არ ჩავთვლი) გამოძიებისათვის, რატომ არ მივეცი ? მე, საერთოდ, უკვე ვერ ვენდობი ქუთაისს, ამ აულებელ ციხ-სიმაგრეს (ამაზე ქვემოთ). სწორედ ამიტომ მოგმართავთ თქვენ და მინდა ყოველივე სიმართლე(დეტალებშიც კი) მოგწეროთ.

საქმე იმაშია, რომ მე მართლა ვიყავი "ათას წვრილმან" მაღაზიაში (როგორც ახსნა-განმარტებაში მაქვს) და ჩემთან ერთად იყო ჩემი ცოლიურობის მეზობელი მერი შუბლაძე (6 შვილის დედაა). ჩვენ სახლიდანვე ერთად წამოვედით 1989 წლის 13 ოქტომბერს.

მინდა, სწორად გაიგოთ, არ ვაპირებ თავი მამა-აბრამის ბატკნად მოგაჩვენოთ, რადგან წარსული მართლა მძიმე მაქვს. მამა ადრე გარდამეცვალა, ვიყავი 5 წლის, დედა რიგითი ბუღალტერია, ორი ძმა ვართ და ეკონომიურად გვიჭირდა. მე რადგან მათხოვრობა არ შემეძლო, გამოვნახე გზა და ქურდობას მივყავი ხელი. მაშინ პატარა ვიყავი და მეამაყებოდა კიდეც საკუთარი ფული, რომ მქონდა. შემდეგ შევეჩვიე და ალბათ, არც ეხლა შეგაწუხებდით, მაგრამ ჩემს ცხოვრებას რამდენიმე წელია სხვა ელფერი მოეფინა. ჩემთვის მოულოდნელად გავიცანი ჩემზე (27 წლის) 7 წლით უმცროსი გოგონა, ირინა მურთაზის ასული ასათიანი. მის ოჯახს ჩემი სახელის გაგონებაც არ უნდოდა, მაგრამ სიყვარული ყველა წინააღმდეგობას ლახავს და ჩვენც შევუღლდით 1985 წლის 5 დეკემბერს.

თაფლობის თვეო, რომ ამბობენ მე მასაც ვერ მოვესწარი, რადგან 1986-87 წელს რესპუბლიკაში, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მიიღეს " პარტიული დავალება", რათა ნებისმიერი შეთითხნილი მოტივით დაებრუნებინათ ციხეში ყველა, ვისაც ოდესმე უქურდია.

მეც დალიანი ვიყავი და რადგან, ცოლის მოყვანის შემდეგ, თითქმის ჩაკეტილი ვიყავი სახლში და გამოვრიცხე ყველა პროვოკაციული მოქმედება. მიჰყავდათ და პირდაპირ უცხადებდნენ(მეც): პარტიული დავალებაა უნდა დაგიჭიროთ, აირჩიე, რომელიც გინდა, ან ნარკოტიკი, ან იარაღიო. მეც ვყავდი ასე დაკავებული 18 დღე (თითქოს წვრილმანი ხულიგნობით) და გამომიშვეს 1985 წლის 30 დეკემბერს, თან ადმინისტრაციული ზედამხედველობა დამინიშნეს, მაგრამ დიდხანს არ დაჭირვებიათ ჩემი ყურება, რადგან 1986 წლის 7 იანვარს (ე. ი. ერთ კვირაში) სახლიდან წამიყვანეს, უფროსს უნდა გასაუბრებაო და გამიხსენეს 4 თვის წინანდელი მომხდარი ამბავი, თერჯოლის მილიციას ვყავდი დაკავებული და გამომიშვა, როგორც არავითარ ხულიგნობას ადგილი არ ჰქონია. ქუთაისის მილიციამ, ამას კიდევ მიუკონწიწა, თითქოს მილიციის მუშაკები გამელახოს და ასე 5 წლიანი მუხლით გამისტუმრეს ციხეში. გადამარჩინა იმან, რომ საქმეს აშკარად ეტყობოდა შეთხზული რომ იყო. რა ვქნათ მოდის, რადგან უკვე 8 თვე ვიმყოფებოდი იზოლატორში, მოსამართლემ ხულიგნობის I ნაწილით მომისაჯა წელიწადი. მაგრამ რა, რეპრესიას მაინც ვერ გადავრჩი და უკვე 12 დღე მაკლდა განთავისუფლებას (როგორ მელოდა მეუღლე წარმოიდგინეთ), როცა კოლონიიდან გადამიყვანეს თბილისის № 1 საგამოძიებლო იზოლატორში. რატომ ? მაშინ საკავშირო მასშტაბით იყო გამოსული მუხლი (რომელიც დღეს არ არსებობს), ვინც კოლონიაში ხშირად არღვევს ადმინისტრაციულ წესებს. მეც ამ მუხლით მომისაჯეს 2 წელი. რა უნდა დამერღვია ამდენი 3 თვეში ? მაგრამ კარგი, მაშინ ჩემს გარდა, ასობით და ათასობით ადამიანი განიცდიდა, ჩემსავით რეპრესიას.

ასე დამაცილეს 23 დღის მოყვანილ მეუღლეს 3წლით. (ამიტომ არ ვენდობი, მილიციას და გამოძიებას). გავთავისუფლდი 1989 წლის 7 იანვარს, მქონდა ადმინისტრაციული ზედამხედველობა, არცერთი დარღვევა არ მქონია და ცხოვრებაში პირველად დავიწყე მუშაობა კოოპერატივ "   " მხატვარ-გამფორმებლად. ასე ბედნიერად მიდიოდა თვეები, მეუღლე ფეხმძიმედ იყო, თან ბოლო თვეში, როცა მართლაც ჩემთვის ტრაგიკული დღე 13 ოქტომბერი დადგა. ჩემი დაკავების თაობაზე მეუღლეს ნაადრევი მშობიარობა ჰქონდა და ბიჭი ძლივს გადაურჩენიათ (ეს თითონ მილიციამ მითხრა). ეს ჩემი დაკავებიდან მე-3 დღეს მოხდა. ე. ი. ბავშვი დაიბადა 16 ოქტომბერს. (ვამახვილებ ყურადღებას, მიტომ რომ მათ მილიციას არაფერი წამთ).

ეხლა ვიწყებ რა მოხდა 13 ოქტომბერს, რა როგორ იყო, ყოველივე სიმართლეს და სისწორეს. (რაც გამოძიებას შეგნებულად არ ვეუბნებოდი დღემდე და აწი ვნახოთ.

მე და ჩემს მეუღლეს იმ დღით გადაწყვეტილი გვქონდა გვეყიდა კარის საკეტები, რადგან შეღებვის შემდეგ არ გვეკეტებოდა საწოლის და ზალის, ბალკონზე გასასვლელი კარები (ასე იქნება დღესაც), კიდევ გარაჟის კარები ჩამოსაკიდი. დილით მერი შუბლაძე მოვიდა ჩვენთან, მეღლე, რადგან შეუძლოდ გრძნობდა თავს, თან მერიმ მეც ლუსტრის ყიდვა მინდაო, გადავწყვიტეთ ერთად წასვლა.

ერთად წამოვედით სახლიდან დაახლოებით პირველი იქნებოდა დაწყებული. გზად კიდევ შევიარეთ ბაზართან მყოფ რკინეულობის მაღაზიაში. შემდეგ მივედით ამ "ათას წვრილმანში" მაღაზიაში, ავტოქარხნის რაიონში. მაღაზია დავათვალიერეთ, მოსაწონი არაფერი იყო, მერი მივიდა მოლარესთან, ჰკითხა ლუსტრაზე. მან უპასუხა საქალაქო კომიტეტის განაწილებით არისო. ჩვენ გამოვედით, მერის ნაცნობი ქალი შეხვდა იქვე, ალბათ ურჩია რაიმე, თორემ ჩვენ მოვდიოდით უკან. მერიმ მითხრა: შენ აქ(მაღაზიის წინ)დამიცადე მე აგერ, ეზოდან საწყობში მივალ და მალე მოვალო. ასე დავცილდით ერთმანეთს, არ გასულა წუთიც ალბათ და მკვეთრი მუხრუჭების ხმა გავიგონე, შევხედე მილიციის თანამშრომლების ორ მანქანას, მართალია ჩემს იქით(100 მ-ში) გააჩერეს და გადმოცვივდნენ, მე, თავის მორიდების მიზნით, თან მერის შევხვდები მეთქი, გავემართე საწყობისკენ ეზოში. რომ შევედი ეზოში, დავინახე მერი ზურგით დგას ჩემსკენ და კორპუსის ბოლოშია. მეც გავემართე იქით. კორპუსის ბოლო შესასვლელთან იდგა ავტომანქანა ჟიგული 06, როცა მივუახლოვდი შენიშვნე რულთან მილიცის თანამშრომლები, რომ უნდა გავცდენოდი ავტომანქანას, გავიგონე მეძახის: მოდი თქო. მე ჯერ თითქოს არ გამიგონია, მერე გადმოვიდა მანქანიდან და კვლავ დამიძახა: მეც მივედი, მეკითხება აქ რა გინდაო, მე ვუპასუხე რაც მინდოდა. მან შენ მაღაზიაში კი არა საქურდლად იყავიო და ხელი მომკიდა. მე გავუსხლტი, ჯერ გავიქეცი ხევია თუ არხი (მერის მიმართულებით), შემდეგ გამახსენდა იქითაც მილიცია რომ იყო და გამოვიქეცი ეზოსკენ, გაბიძაშვილი ჩახტა მანქანაში და გამომეკიდა, მე ეზოშივე მეორე კორპუსის შესასვლელში შევირბინე, ორი სართულის შემდეგ ვიფიქრე, სად გავრბივარ, ცნობით მაინც მიცნობს, ან რა მაქვს გასაქცევითო და შემოვბრუნდი, ქვემოთ გაბიძაშვილი შემომხვდა, მე არავითარი წინააღმდეგობა არ გამიწევია, ხელი გადამიბრუნა, მეორე ხელი თმაში ჩამავლო (მარტო იყო), ასე ვიდექით ეზოში დაახლოებით 5-10 წუთი.

გაბიძაშვილი ყვიროდა, ქურდი დავაკავეთ, ამ ყვირილზე ხალხი შეიყარა, ფანჯრებიდან იყურებოდნენ მეზობლები, მე ხალხს მივმართავდი, არაფერი მომიპარავს და არც არაფერი დამიშავებიათქო, თან გაბიძაშვილს ვეუბნებოდი, გაალე მანქანა ჩაგიჯდები, გაქცევა რომ მდომოდა გავიქცეოდითქო. (ნეტა გავქცეულიყავი). ამ ხალხში მერი და მისი ნაცნობი ქალიც დავინახე, მერის ვანიშნე არაფერი თქვათქო, მიტომ რომ აზრი არ ექნებოდა, გაბიძაშვილი ჩემიც გამშვები უკვე აღარ იყო.

შემდეგ მოვიდნენ მილიციის მუშაკები და წამიყვანეს ავტოქარხნის რაიგანყოფილებაში. მანქანაშივე დაიწყეს ცემა, არ მალაპარაკებდნენ. როგორც შემდეგში შევიტყვე, სადაც გაბიძაშვილი მდგარა, იმ შესასვლელში მომხდარა ქურდობა. რადგან მე დამინახეს, თან იმ ეზოში დამაკავეს (მართალია სხვა კორპუსგი) გადმოვიდნენ იერიშზე, დამიწყეს ხელთათმანის ჯიბეში ჩატენვა, მე ყვირილი დავიწყე, ჯიბეები ამოვიბრუნე და ეს ნომერი ჩაეშალათ, შემდეგ შევყავარ ოთახში, სადაც ჩხრეკა ჩამიტარდა. შემოდის ქვემორიგე(სახეზე ვიცნობ) და იძახის გამთბობის ბატარეიაში ტენიდა ამ ხელთათმანს(ცალია), რომელიც ხელში ეკავა და დააგდო მაგიდაზე. ამის შემდეგ გადის 5-10 წუთი, შემოჰყავთ ორი მოქალაქე და იწყებენ ჩხრეკას. მე, მოქალაქეებს შემოსვლის თანავე გავამახვილებინე ყურადღება ხელთათმანზე, რომელიც ისევ მაგიდაზე ეგდო. მათმაც ასევე სთქვეს და მოაწერეს ხელი, ეს ნომერიც არ გაუვიდათ. ყოველივე ამის შემდეგ, საათზე მეტი იქნებოდა გასული, შემოდის გაბიძაშვილი და მეუბნება: ხომ იძახი მაღაზიაში ვიყავიო, იქ აღწერა იყო, აი ცნობა ამასვე ამბობს, მეორე ხელთათმანი პადიეზდში რომ დააგდე, ისიც მოვიტანე. შემდეგ ეს უკვე მეორე დღეს დამიპირისპირდა გაბიძაშვილი და ნაგლად ამბობს ამ პადიეზდიდან გამოსული დავინახეო, სადაც ქურდობაა მომხდარი.

აი ასე ნაგლად უნდათ კიდევ დამღუპონ, მე თავიდანვე ვაჩვენე ახსნა-განმარტებაში, რომ ვიყავი მაღაზია "ათას წვრილმანში", ოღონდ შეგნებულად არ დამისახელებია მერი შუბლაძე, რადგან, რომ ვიცი მაგათი ამბავი, შემეშინდა არ გა   . მერი შუბლაძე არის ერთადერთი ვინც იცის სიმართლე თუ სად ვიყავი მე.

ამიტომ ვხსნი აქ ყველაფერს და მერის ვინაობასაც ვასახელებ, რადგან ქუთაისის არც მილიციას ვენდობი და არც გამოძიებას. პროკურორი ბობოხიძეც იყო მოსული, მაგრამ არც მისთვის მითქვამს სიმართლე, რადგან ველოდი, რომ თბილისიდან ჩამოვიდოდა ვინმე, მე დაჭერის დღიდანვე ვშიმშილობ, ხოლო ოფიციალურად 19 ოქტომბრიდან.

ჩემთან მოსვლას, არ გთხოვთ, რადგან აქ გიწერთ ყველაფერ სიმართლეს, მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ მერი შუბლაძე დაიკითხოს, ვინმე თბილისიდან ჩამოსულისაგან(კვლავ შიში).

ნუთუ ასე უნდა მეშინოდეს სიმართლის თქმა დღევანდელ პერიოდში ? დემოკრატიის და თავისუფალი თქმის ხანაში ?

ადრე ნასამართლობებზე თუა და..ბევრი იწერებოდა და იწერება, რომ შექმნათ პირველ რიგში საცხოვრებელი პირობები, მაგრამ დემოკრატია შორს არის ქუთაისიდან. რა დემოკრატიაზეა ლაპარაკი, როცა თევზაძეს რამდენი წელია უპყრია მონოპოლია და განაგებს როგორც სურს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თევზაძე ყველა ორგანიზაციაზე ახდენს ზეგავლენას და მითუმეტეს მილიციაზე, კიდევაც მითხრეს მილიციაში თევზაძეა დაინტერესებული და ჩვენ რაო...

ისევ დიქტატურა, ისევ ზეგავლენა და მე კვლავ მსხვერპლი უკანონობისა?

ამისათვის მოგმართავთ თქვენ მერი შუბლაძის ნახვა ძნელი არ არის, ადრე იყო ჯაფარიძის ქუჩა № 4, ეხლა თამარ მეფის ქუჩაა, ნომერი მგონი 10. რადგან ამ დაკითხვამ უნდა გადაწყვიტოს ჩემი ბედი, ჩემი ოჯახის და ახლად შობილი გიორგისი, აწი მაინც დადგინდებოდე სიმართლე, გამაზრდევინონ შვილი, ნუ ამომიღებენ გულს ბოლომდე.

გთხოვთ ჩაერიოთ და დამადგენინოთ სიმართლე.
ველი თქვენს ჩარევას და ობიექტურობას.

მომჩივანი: ტ. დ. ფოცხვერია(№ 2 იზოლატორი,
შიმშილის საკანი)

14.XI.89 წ.

ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სახელზე გამოგზავნილია უამრავი პატიმარ ქალთა წერილები, საჩივრები, თხოვნა-შეწყალებები. ჩვენ ამოვიწერეთ და გაგაცნობთ მათ ოჯახურ მდგომარეობას, წლოვანებას, სისხლის სამართლის კოდექსით მიყენებულ მუხლებს, სასჯელის ზომებს და სხვა ცნობები.

კელოშვილი რუსუდან ავთანდილის ასული, დაბადებული 1963 წელს, მცხოვრები მახარაძის რაიონში. გასამართლებულია 1986 წელს, მისჯილი აქვს 9 წელი. მუხლი 105. ჰყავს ორი შვილი, 5 და 2 წლის, რომლებიც იზრდებიან მოხუცებულ დედასთან, ითხოვს საქმის გადასინჯვას და ხელმეორედ განხილვას.

გუნაშოვი ლია დიმიტრის ასული, დაბადებული 1962 წელს, მცხოვრები ბოლნისის რაიონში, არის მეუღლესთან გაცილებული. ჰყავს ერთი შვილი, 7 წლის. გასამართლებული არის 1985 წელს. მისჯილი აქვს 7 წელი. მუხლი 105. მასთან ერთად იგივე მუხლით სასჯელს იხდის მისი დაც - მაყვალა დიმიტრის ასული გუნაშოვა, დაბადებული 1943 წელს(მარტოხელა), ჰყავთ მოხუცებული მშობლები, რომლებთანაც იზრდება მისი შვილი. გუნაშოვა ლია და მისი დაც არიან არასწორად გასამართლებული, ითხოვენ დახმარებას.

ჭეიშვილი მაყვალა-გიორგის ასული, პატიმრობაში იმყოფება 1984 წლის 11 აპრილიდან, გასამართლებულია კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ. 19.190 მუხლის II ნაწილით, რითაც მისჯილი აქვს 10 წელი, 6 წელი უკვე შეუსრულდა, თხოულობს საქმის გადასინჯვას და ხელმეორედ განხილვას.

მსჯავრდებული მ. ვ. სამნიაშვილი გასამართლებულია 1987 წელს, 19-190 მუხლის II ნაწილით. სასჯელის ზომა 7' წელი. ჰყავს მცირეწლოვანი შვილი 9(ცხრა) წლის, 1980 წლის 26 დეკემბერს დაბადებული, რომელიც აღრიცხვაზეა ქალაქის № 1 ტუბდისპანსერში, დაავადებულია ფილტვებით. მის შვილს აპეკუნობას უწევს მამიდა მეუღლის და ხანდაზმული ჯენეტი პავლეს ას. სამნიაშვილი, რომელიც ცხოვრობს მიასნიკოვის II ჩიხი № 4-ში. ჰყავს მეუღლე ფილტვებით დაავადებული, დიაბეტიკი, ტუბერკულოზი ფილტვების ღია ფორმაში . ჯემალი პავლეს ძე სამნიაშვილი დღეისათვის არსებობს თუ არა ისიც არ იცის.

ხუროშვილი ვენერა გრიშას ასული, დაბადებული 1960 წელს, მცხოვრები გორის რაიონში, არის მარტოხელა დედა, ჰყავს ორი შვილი, რომლებიც იზრდებიან მოხუცებულ მშობლებთან. არის გასამართლებული 1985 წელს, მისჯილი აქვს 8 წელი, მუხლი-252, II ნაწილით. ითხოვს დახმარებას.

მაია ვალერიანის ასული ხიზლაშვილი, დაბადებული 1968 წელს ქ. თბილისში. გასამართლებულია 252-ე მუხლის 1 ნაწილით. მისჯილი აქვს 5 წელი. თავს დამნაშავედ არ სცნობს.

ნანა შალვას ასული შალამბერიძე, დაბადებული 1963 წელს, ქალაქ მაიაკოვსკში. გასამართლებული 1985 წელს 105-ე მუხლით. მისჯილი აქვს 6 წელი. ჰყავს მოხუცი და პენსიონერი მშობლები. ითხოვს შეწყალებას.

ნაზი არჩილის ასული ბერიძე, დაბადებული 1935 წ. მცხოვრები ქ. თბილისში. ჰყავს ორი შვილი და 4(ოთხი) შვილიშვილი. გასამართლებული 19-190-II ნაწილით. სასჯელი 3 წელიწადნახევარი. 11 თვეა იხდის სასჯელს. ითხოვს შეწყალებას.

ლიანა გრიგოლის ასული გვასალია. დაბადებული 1943 წელს, ქ. სენაკში. ჰყავს 3 შვილი. გასამართლებული 104-მუხლით, 1984 წელს. სასჯელის ზომა 15 წელი. ინანიებს დანაშაულს და ითხოვს შეწყალებას.

მაყვალა ნიორგის ასული ჭეიშვილი გასამართლებული 1984 წელს 19-190 მუხლით. მისჯილი აქვს 10 წელი. ძიებას და გასამართლებას თვლის არასწორად, ითხოვს საქმის გადასინჯვას და გათავისუფლებას.

მოდებაძე მედიკო დაბადებული 1947 წელს, ქ. ჭიათურაში. გასამართლებული 19-190. II ნაწილით, 153-II ნაწილით ითხოვს საქმის ხელმეორედ გადასინჯვას და გათავისუფლებას.

აფაქიძე აზა არჩილის ასული დაბადებული 1942 წელს ქ. სოხუმში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. გასამართლებულია აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მიერ 96^{I} მუხლით. მისჯილი აქვს 12 წელი. სასამართლოს გადაწყვეტილებას თვლის არაკანონიერად და არასწორად. ითხოვს საქმის გადასინჯვას და გათავისუფლებას. სურს უარი თქვას საბჭოთა მოქალაქეობაზე, რისი უფლებაც აქვს.

ქეთევან დავითის ასული ჭილიტაშვილი, 63 წლის, მეორე ჯგუფის ინვალიდი. გასამართლებულია 96^{I} მუხლით. სასჯელი 11 წელი. სასჯელს იხდის 1986 წლის 8 ივლისიდან. გამოძიებას და გასამართლებას თვლის არასწორად, ითხოვს საქმის გადასინჯვას და გათავისუფლებას.

ლალი ტარასის ასული მუკბანიანი გასამართლებულია 105-ე მუხლით. სასჯელს იხდის 1986 წლის 29 სექტემბრიდან. ჰყავს 3 მცირეწლოვანი შვილი. არის ბუნების სტიქიით დაზარალებული. ბინა დაუნგრია წყალდიდობამ. ბავშვებს უხდებათ მის სხვადასხვა ნათესავებთან ცხოვრება. სასჯელს იხდის უკვე 3 წელიწადი და ოთხი(4) თვე. ითხოვს შეწყალებას და გათავისუფლებას.

იზოლდა ნიკოლოზის ასული წოწონავა-კობიაშვილი-გელაშვილი, პატიმრობაში აყვანილია 1986 წლის 2 ნოემბრიდან. 1987 წლის 10 დეკემბრის სასამართლოს განაჩენით $19\text{-}190^{II}$, 153^{II}, 112^{II} ნაწილით მისჯილი აქვს 9 წელი თავისუფლების აღკვეთა. თვლის რომ უსამართლოდ არასწორად არის გამოძიებული მისი საქმე. ითხოვს გამართლებას. არის მეორე ჯგუფის ინვალიდი.

გვენეტაძე ნანული ილიას ასული, დაბადებული 1941 წელს. გასამართლებულია 1985 წლის 29.XI. 96^{I} მუხლით, ათი (10) წლით თავისუფლების აღკვეთით. ჰყავს მოხუცი დედა, მეუღლე, სამი (3) შვილი და 1 შვილიშვილი. ითხოვს გათავისუფლებას.

შერგელაშვილი სვეტლანა მელენტის ასული ზესტაფონში მცხოვრები. 54წლის. ჰყავს ავადმყოფი მეუღლე, ორი (2) შვილი, ავადმყოფი დედა. გასამართლებულია 1985წ. 25 ნოემბერს, ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ. $19\text{-}190^{II}$ მუხლით მისჯილი აქვს 9 წელი.

საბჭოთა მილიციის და პროკურატურის ზოგიერთი ძიების ხერხები და მეთოდები

ეჭვის საფუძველზე დააკავებდნენ პიროვნებას, რომელსაც სცემდნენ სიკვდილის პირამდე, რათა ეღიარებინა დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია.

თუ პიროვნება აღიარებდა დანაშაულს, გამომძიებელი აიძულებდა ამ პიროვნებას თავის თავზე აეღო ამის მსგავსი სხვა დანაშაულობებიც, რათა ჩათვლოდა მუშაობაში და გაუხსნელი დანაშაულობები მოეხსნა თავიდან. როგორც ადრე იბეჭდებოდა საბჭოთა მილიცია დიდი წარმატებით ართმევდა თავს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას, რომ საბჭოთა კავშირში ყველაზე ნაკლები იყო გაუხსნელი დანაშაული.

1989 წლის სექტემბერში ს. უ. კ.-ის ახალმა შეფმა კრიუჩკოვმა განაცხადა, რომ სუკ-ს ჩამოსცილდა იდეოლოგიური მართველობა და ამის შესაბამისად ჩამოსცილდა ყველა ოლქისა და რესპუბლიკების სუკ-ის ორგანოების განყოფილებებს. მაგრამ ამასთან დაკავშირებით კრიუჩკოვმა თქვა, რომ სუკ-ში იქმნება კონსტიტუციის დაცვის სამმართველო.

კონსტიტუციის დაცვის უფლებამოსილება ჩვენს ქვეყანაში გააჩნია კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს. მოქმედება თითოეული პირის თუ დაწესებულების, რომლებიც ითავისებს კონსტიტუციის დაცვის უფლებამოსილებას, თვითმარქვია და თვითმმართველურია.

როვალტ პიმენოვი
"მემორიალის" თავმჯდომარე
გაზეთი "ნაბატი" № 1, 1990 წ.

პატიმრების წერილები იბეჭდება ავტორთა სტილის დაცვით

რედაქტორი: მევლუდი ბასილაური

მისამართია: თიანეთის რაიონი, სოფელი ბალებისხევი, მევლუდ ბასილაურს